



Project funded by
EUROPEAN UNION



D.C.3.1 მდინარეების დაცვისათვის შემცირების სახელმძღვანელო

Common borders. Common solutions.





Common borders. Common solutions.



შინაარსი

1. შესავალი: რატომ არის ნარჩენების პრობლემა აქტუალური?.....	2
1.1. რას უწოდებთ ნარჩენს?.....	2
1.2. ნარჩენების ნარმოქმნა.....	3
1.2.1. რისგან შედგება მუნიციპალური ნარჩენები?.....	3
1.2.2. რა ზემოქმედებას ახდენს ნარჩენები კლიმატის ცვლილებაზე?.....	5
1.2.3. ნარჩენები ოკეანეებსა და ზღვებში.....	6
2. ნარჩენების მართვა და მდგრადი განვითარება.....	8
2.1. მიზნები.....	8
2.2. როგორ უნდა ვმართოთ ნარჩენები?.....	10
3. რას ნარმოადგენს 3R პრინციპი?.....	11
3.1. ნარჩენების შემცირება.....	11
3.2 ნარჩენების ხელახალი გამოყენება.....	12
3.3. ნარჩენების რეციკლირება.....	13
3.4. ნარჩენების სეპარირება.....	16
4. შავი ზღვის გარემოსდაცვითი საკითხები.....	29
5. რატომ უნდა დავიცვათ დედამიწის ნყლის რესურსები?.....	31

Common borders. Common solutions.

1. შესავალი: რატომ არის ნარჩენების პროცესის პროცესის აქტუალური?

1.1. რას ვუწოდებთ ნარჩენს?

ნარჩენი არის ყველაფერი ის, რამაც მისი მფლობელისათვის დაკარგა თავისი დანიშნულება, აღარ არის საჭირო და ამის გამო მფლობელს სურს ან განზრახული აქვს მისი მოშორება.

როგორც წესი, საბოლოოდ ყველა ნივთი თუ საგანი, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ, ნარჩენად იქცევა. ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, პატარა მაღაზიებსა თუ დიდ მარკეტებში, ადმინისტრაციულ შენობებსა და ოფისებში, მუნიციპალურ ნარჩენებს წარმოადგენს. ხოლო ნარჩენებს, რომლებიც წარმოიქმნება ჩვენს ოჯახებში, „საყოფაცხოვრებო ნარჩენებს“ უწოდებენ.



საყოფაცხოვრებო ნარჩენები შედგება სამზარეულოს ორგანული ნარჩენებისაგან, სახლის დასუფთავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენებისაგან, ტანსაცმლის ნარჩენებისაგან, ქაღალდისა და მუყაოსაგან. საყოფაცხოვრებო ნარჩენებში მზარდი ნილი უკავია პლასტიკს და ისეთ სხვა მასალებს, როგორიცაა მინა, რეზინი, ტყავი და ლითონი.

Common borders. Common solutions.

1.2. ნარჩენების წარმოქმნა

ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ, 2 საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, უზარმაზარი რაოდენობის ნარჩენების წარმოქმნა. უკანასკნელ წლებში მათი რაოდენობა დრამატულად იზრდება. მსოფლიო ბანკის თანახმად, 2019 წელს მხოლოდ მუნიციპალური ნარჩენების წარმოქმნის მაჩვენებელმა 2.57 მილიარდი ტონა შეადგინა.


პროგნოზების თანახმად, მსოფლიოში ქალაქების მოსახლეობა გაიზრდება და დღეს არსებული 3 მლრდ-დან 2025 წელს 4,3 მლრდ იქნება. ეს ნიშავს იმას, რომ 2025 წლისთვის ნარჩენების რაოდენობა გაორმაგდება.

1950 წელს ქალაქებში მსოფლიო მოსახლეობის 29% ცხოვრობდა, ხოლო 2008 წელს ქალაქის მოსახლეობამ სოფლის მოსახლეობას თითქმის გადააჭარბა. ითვლება, რომ 2050 წლისთვის ქალაქებში მსოფლიოს მოსახლეობის 70% იცხოვრებს (გაერო).

1.2.1. რისგან შედგება მუნიციპალური ნარჩენები?

მუნიციპალური ნარჩენები ძირითადად შეიცავს ნარჩენების ისეთ სახეობებს, როგორიცაა საკვებისა და მწვანე ნარჩენები, სხვადასხვა სახის პლასტიკი, ქაღალდი და მუყაო, მინა, ლითონი და სხვ.

Common borders. Common solutions.



Common borders. Common solutions.

1.2.2. რა ზემოქმედებას ახდენს ნარჩენები კლიმატის ცვლილებაზე?

ნარჩენები სათბურის აირების წარმოქმნის ერთ-ერთი წყაროა. სათბურის აირები ძირითადად ისეთი ღია ტიპის ნაგავსაყრელებიდან იფრქვევა, სადაც წარმოქმნილი აირების შეგროვება არ ხდება. ორგანული ნარჩენების ლპობის შედეგად ნაგავსაყრელებიდან გამოიყოფა მეთანი, რომელიც CO_2 -ზე ბევრად მაღალი დათბობის პოტენციალით ხასიათდება.

სათბურის აირების ემისიების შემცირების ერთ-ერთ გზას ნარჩენების შემცირება, ხელახალი გამოყენება და გადამუშავება, აგრეთვე ნაგავსაყრელზე წარმოქმნილი აირების გამოყენება წარმოადგენს. ნარჩენების კომპოსტირება მეთანის წარმოქმნის თავიდან აცილების კარგი საშუალებაა.

ბოლო 200 წლის განმავლობაში წყლის რესურსების ინტენსიურმა და მრავალმხრივმა გამოყენებამ, რომელიც უმეტეს შემთხვევაში უსარგებლო და ირაციონალური იყო, ადამიანები წყლის რესურსების რაციონალური მართვისა და გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარების აუცილებლობის წინაშე დააყენა.

Common borders. Common solutions.

1.2.3. ნარჩენები ოკეანებსა და ზღვები

მდინარეებისა და ზღვის დაბინძურება ნარჩენებით, განსაკუთრებით, პლასტიკის ნარჩენებით, თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემაა. ზღვებსა და ოკეანეებში მოხვედრილი ნარჩენების 90%-ს პლასტიკი წარმოადგენს. მაგალითად, უახლესი კვლევების თანახმად (EMBLAS-Plus), შავ ზღვაში აღმოჩენილი ნარჩენების 87%-ს პლასტიკი შეადგენს.

სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს მიკროპლასტიკიც, რომელიც ზღვის პროდუქტებთან (თევზი, მოლუსკები) ერთად ადამიანის ორგანიზმშიც შეიძლება მოხვდეს. პლასტიკი ზღვებსა და ოკეანეებში ძირითადად მდინარეებიდან და სანაპიროებიდან ხვდება, ნარჩენების შეგროვების მოუწესრიგებელი სისტემებისა და ზოგიერთი მოქალაქის ცნობიერების დაპალი დონის გამო.

მოსახლეობის რაოდენობისა და საკვების მოხმარების ზრდასთან ერთად მოსალოდნელია ზღვებსა და ოკეანეებში ნარჩენების რაოდენობის ზრდაც.



650mm: <https://www.globaltelconews.com/last-exit-revolutionize-the-way-plastic-is-used/>

2. ნარჩენების მართვა და მდგრადი განვითარება

2.1. მიზანები

დღეს ცივილიზაციული მსოფლიო ერთხმად აღიარებს მდგრად განვითარებას, როგორც უსაფრთხო მომავლისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის ერთადერთ გზას. 2015 წლის 25 სექტემბერს გაეროს 193 წევრი ქვეყანა შეთანხმდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტზე, სახელწოდებით „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“, რომელშიც განსაზღვრულია მდგრადი განვითარების 17 გლობალური მიზანი და 169 კონკრეტული ამოცანა.

მდგრადი განვითარების 17 გლობალური მიზანი ეხება სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით სფეროებს.

1 არა სიმუდგენი	2 არა მიზანი	3 კანონით და მიზანით გამოყენება	4 სახისხელი გადატვირთვა	5 მიზანით გამოყენება
				
სამუშაო გამოყენების მიზანით და რეგულირების სფეროში	საკუთრის გამოყენების მიზანით და რეგულირების სფეროში	გაყიდვით და ადამიტობით და გამოყენების მიზანით გამოყენება	გადატვირთვის მიზანით და რეგულირების მიზანით გამოყენება	გადატვირთვის მიზანით და რეგულირების მიზანით გამოყენება
6 სამუშაო მიზანი და მიზანი	7 სიმუდგენი მიზანი და მიზანი	8 მართვისა და მიზანი	9 მიზანითი მიზანი	10 მიზანით მიზანი
				
მუქი გამოყენების მიზანით გამოყენების მიზანით და რეგულირების სფეროში და მიზანით გამოყენების მიზანით	გამოყენების მიზანით გამოყენების მიზანით და რეგულირების სფეროში	გამოყენების მართვა არის მიზანით და რეგულირების მიზანით	რეგულირების მიზანით და მიზანი	მდგრად დაზიანების უკიდურესობის მიზანით გამოყენების მიზანით და რეგულირების მიზანით
11 მიზანი მართვისა და მიზანი		მყარი ნარჩენების მართვა		12 მიზანი მიზანი და მიზანი
				
მუქი გამოყენების მიზანით გამოყენების მიზანით და რეგულირების სფეროში და რეგულირების მიზანით გამოყენების მიზანით				გამოყენებისათვის რეგულირების მიზანით გამოყენების მიზანით
13 მიზანი გადატვირთვის და მიზანი	14 ხარისხის მიზანი	15 მიზანითი გადატვირთვა	16 მიზანი გადატვირთვის და მიზანი	17 მიზანით გადატვირთვა
				
მეცნიერება და მასში მიზანით გამოყენების მიზანით გადატვირთვის და რეგულირების მიზანით გამოყენების მიზანით	თეორიული და აpplied გამოყენების მიზანით გადატვირთვის და რეგულირების მიზანით	ნივთების გადატვირთვის და რეგულირების მიზანით გამოყენების მიზანით	მრავალი მართვის და გადატვირთვის მიზანით გამოყენების მიზანით	ერთობლივი მუშაობის და ართობრივობის მიზანით გამოყენების მიზანით

ნუარ: <https://wasteaid.org/wp-content/uploads/2016/05/swm-sus-goals-without-zlcomms.png>

Common borders. Common solutions.

2.2. როგორ უდია ვეართოთ ნარჩენები?

საყოფაცხოვრებო ნარჩენები შედგება სხვადასხვა სახის ნარჩენებისაგან, რომლებსაც გარემოში დასაშლელად განსხვავებული დრო სჭირდებათ. დაშლის პროცესის მიხედვით განასხვავებენ ბიოლეგრადირებად და არაბიოლეგრადირებად ნარჩენებს.

ნარჩენების მართვის ეფექტური მექანიზმების შექმნა, საუკეთესო პრაქტიკის შერჩევა და მისი დანერგვა მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან მსოფლიოს ერთ-ერთ მთავარ საზრუნვავს წარმოადგენს.

მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან ნარჩენების მართვის მიღების ნარმოსადგენად იერარქიული პირამიდა გამოიყენება. პირამიდაში მკაფიოდ არის განსაზღვრული ნარჩენების მართვის სასურველი და ნაკლებად სასურველი ქმედებები.

გადაბრუნებული პირამიდა არის ერთგვარი სიმბოლური გამოსახულება იმისა, რომ ნარჩენების მართვაში ყველაზე მეტი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს სასურველი ქმედებისკენ (3R-ის პრინციპს შესაბამისად), ხოლო ყველაზე ნაკლები - არასასურველი ქმედებისკენ (ნაგავსაყრელებზე განთავსება).

Common borders. Common solutions.

3. რას ნარმოადგენს 3R პრინციპი?

3.1. ნარჩენების შემცირება

შემცირება – ამ ქმედების მიზანია ნარჩენების შემცირება მათი წარმოქმნის წყაროსთან. შემცირების ქვეშ იგულისხმება არა მხოლოდ ნარჩენების საერთო რაოდენობის შემცირება, არამედ მათი ტოქსიკურობის ან სხვა მავნე მახასიათებლების შემცირებაც.

ნარჩენების შემცირება, მაგალითად, მიიღწევა მწარმოებლებისა და მომზადებლების მიერ ისეთ პროდუქტებსა და შეფუთვაზე გადასვლით, რომლებსაც ნარჩენების რაოდენობის შემცირება მოჰყვება.

რა უნდა გავაკეთოთ ნარჩენების შესამცირებლად?

- თავიდან ავიცილოთ უსარგებლო შეფუთვა. მაღაზიაში ბევრი პროდუქტი მხოლოდ მყიდველის ყურადღების მისაქცევად იყენება.
- უპირატესობა მივანიჭოთ მრავალჯერადი გამოყენების საგნებს.
- უპირატესობა მივანიჭოთ მინიმალურ შეფუთვას.
- უპირატესობა მივანიჭოთ ისეთ შეფუთვას, რომელიც ხელახალ გამოყენებას ან გადამუშავებას ექვემდებარება.
- უპირატესობა მივანიჭოთ რეციკლირებად და ეკოლოგიურად უსაფუთ მასალებს.
- გამოვიყენოთ მრავალჯერადი გამოყენების ჩანთები და უარი ვოქვათ პლასტიკის ერთჯერად პარკებზე.

Common borders. Common solutions.

3.2 ნარჩენების ხელახალი გამოყენება

ხელახალი გამოყენება - ამ ქმედების მიზანია მასალის, პროდუქტის ან/და მისი კომპონენტის ხელახალი გამოყენება მათი ნარჩენად გადაქცევის თავიდან ასაცილებლად.

რასაკვირველია, ნარჩენების წარმოქმნის სრულად აღკვეთა შეუძლებელია. სწორედ ამიტომ წარმოქმნილი ნარჩენების ხელახალ გამოყენებას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება.

ხელახალი გამოყენება ნიშნავს სხვადასხვა საგნებისა და მასალების ხანგრძლივ გამოყენებას მათი ახალი შემცვლელების შეძენის გარეშე. ეს ითვალისწინებს ხანგრძლივი და მრავალჯერადი გამოყენების საგნებისა და მასალების შეძენას, დაზიანებული საგნების შეკეთება-გაახლებას და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ თუ ნარჩენი ერთისთვის უსარგებლო ნაგავია, მეორესთვის შესაძლოა ის სასურველი ნივთი აღმოჩნდეს.

3.3. ნარჩენების რეციკლირება


რეციკლირება - აღდგენითი ქმედება, რომლის საშუალებითაც ნარჩენი გარდაიქმნება ისეთ პროდუქტად, მასალად ან ნივთიერებად, რომელიც განკუთვნილია თავდაპირველი დანიშნულებითან სხვა მიზნით გამოყენებისათვის.

რეციკლირება უფრო ეკონომიურია, ვიდრე ამავე პროდუქტის ან მასალის ახალი ნედლეულისგან წარმოება.

რეციკლირების თანამედროვე ტექნოლოგიები ნარჩენების მთლიანი რაოდენობის 90%-ის გადამუშავების შესაძლებლობას იძლევა. საყოფაცხოვრებო ნარჩენების უდიდესი წილი რეციკლირებას ანუ გადამუშავებას ექვემდებარება. საყოფაცხოვრებო ნარჩენებში დიდი წილი აქვს მინას, პლასტიკს, ლითონს, ქალალდა და ორგანულ ნარჩენებს.

სირთულეს წარმოადგენს არა რეციკლირების ტექნოლოგიები, არამედ რეციკლირებადი ნარჩენების სეპარირება, ანუ სხვა სახის ნარჩენებისგან მათი გამოცალკევება.

Common borders. Common solutions.



წყარო: <https://wmp.ge/wmp2>

Common borders. Common solutions.



რეციკლირების საერთაშორისო ნიშანი

ეს ნიშანი 1970 წელს ამერიკელმა სტუდენტმა, ჰარი ანდერსონმა, შექმნა.

ნივთზე დატანილი ეს ნიშანი მიუთითებს იმაზე, რომ ის წარმოებულია გადამუშავებული (რეციკლირებული) ნედლეულისგან, ან დამზადებულია ისეთი მასალისგან, რომელიც გადამუშავებას (რეციკლირებას) ექვემდებარება.

ხშირ შემთხვევაში ეს ნიშანი ამარტივებს ნარჩენების სეპარირების პროცესს - დახარისხებას სახეობების მიხედვით.

Common borders. Common solutions.

3.4. ნარჩენების სეპარირება

ნარჩენების სეპარირების ერთ-ერთ თანამედროვე მიზანი წარმოადგენს ნარჩენების სეპარირება მათი წარმოქმნის წყაროსთან, რაც ნიშნავს იმას, რომ ნარჩენების წარმომქმნელი თავად ახორციელებს ნარჩენების დახარისხებას სახეობების მიხედვით და მათ შემდგომ განკარგვას. კერძოდ, შესაძლებელია შემდეგი ზომების მიღება:

- რეციკლირებადი ნარჩენების მიმღებ პუნქტებში მიტანა;
- რეციკლირებადი ნარჩენების ჩაბარება ანაზღაურების სანაცვლოდ;
- სახეობების მიხედვით განცალკევებული ნარჩენების (მაგალითად, ქაღალდი, პლასტიკი, მინა, ლითონი) განთავსება სპეციალურ კონტეინერებში.

3R პრიცეპი ქაღალდისათვის

ქაღალდი ყველაზე ფართოდ გამოყენებადი რეციკლირებადი მასალაა. ქაღალდის წარმოების ისტორია ძველი ჩინეთიდან იწყება, თუმცა ხის მასალისგან ქაღალდის წარმოების ტექნოლოგიები მხოლოდ მე-19 საუკუნის ბოლოს გაჩნდა.

ქაღალდის რეციკლირება შესაძლებელია მაქსიმუმ 5-7-ჯერ, ამის შემდეგ ქაღალდის ბოჭკოები ძალიან მოკლდება და ახალი ქაღალდის მიღება პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება.

Common borders. Common solutions.

ისეთ თუ არა, რომ

17
ხისგან



მზადდება

1 ტონა
ქაღალდი



დაზოგე ქაღალდი
გადაარჩინე სიცისი

წყარო: www.visy.com.au

3R პრიცეპი პლასტიკისათვის

პლასტიკის ინტენსიურად გამოყენება მეოცე საუკუნის სამოციან წლებში დაიწყო. პლასტიკისა და პლასტიკის შესაფუთი მასალების წარმოება ნავთობისა და ქიმიური პროდუქტების დაბალმა ფასმა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ განაპირობა.

ბოლო 50 წლის განმავლობაში პლასტიკის როლი და მნიშვნელობა ეკონომიკაში მუდმივად იზრდებოდა. 1960-იანი წლების შემდეგ მსოფლიოში პლასტიკის წარმოება 30-ჯერ გაიზარდა და 2015 წელს 322 მლნ ტონა შეადგინა. სავარაუდოდ, ეს მაჩვენებელი მომდევნო 20 წელიწადში გაორმაგდება.

პლასტიკი ფართოდ გამოიყენება შეფუთვაში. მას სხვადასხვა ფუნქციები აქვა: საკვების დაცვა და შენახვა; საკვების შეფუთვა და დისტრიბუცია; მუყაოს ყუთების შევსება და მომხმარებლების ინფორმირება.

ამჟამად მსოფლიოში წარმოებული პლასტიკის 41% შესაფუთ მასალად გამოიყენება, ხოლო აქედან 47% - საკვები პროდუქტების შესაფუთად.

პლასტიკი ძირითადად გამოიყენება გამაგრილებელი სასმელების, ბოსტნეულისა და ზეთების, კოსმეტიკისა და პარფიუმერიის და სხვა პროდუქტების შესაფუთად.

პლასტიკის მარკინება

საყოფაცხოვრებო დანიშნულების შესაფუთი პლასტიკის აღვილად იდენტიფიცირების, სეპარირებისა და რეციკლირების მიზნით, „პლასტიკის წარმოების საზოგადოების“ (SPI) მიერ 1988 წელს განისაზღვრა პლასტიკის სახეობები და კოდები. SPI კოდები შესაფუთი მასალების მარკირებისთვის ფართოდ გამოიყენება. ასეთი პრაქტიკა ბევრ ქვეყანაში სავალდებულოა.



Common borders. Common solutions.


პლასტიკის რეციკლირება

ამჟამად პლასტიკის ნარჩენების მართვა ერთ-ერთი ყველაზე მნვავე გარემოს-დაცვითი საკითხია.

პლასტიკის ნარჩენების გამოყენების ძირითადი მიმართულება მათი რეციკლირებაა (გადამუშავება). თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით პლასტიკის რეციკლირების შედეგად შეგვიძლია მივიღოთ სხვადასხვა სახის პროდუქცია: მილები, კას-რები, სათამაშოები, ავეჯი, საბნები, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, დასხვ.

პლასტიკის ნარჩენების რეციკლირება ძირითადად მექანიკური დამუშავების გზით ხორციელდება, რაც შერეული პლასტიკის ნარჩენების შემთხვევაში მოიცავს პირველად დახარისხებას და იდენტიფიკაციას, დაქუცმაცებას, რეცხვას, შრობასა და გრა-ნულირებას.

პირველადი დახარისხება ითვალისწინებს ნარჩენების უხეშ დაყოფას ისეთი მახასიათებლების მიხედვით, როგორიცაა: ფერი, ზომა, ფორმა, პლასტიკის სახეობა.



Common borders. Common solutions.

3R პრიცენტი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენებისთვის

ნარჩენების მართვაში განსაზღვრულა სპეციფიკური სახის ნარჩენები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ გარემოზე მათი უარყოფითი ზემოქმედების შემცირების მიზნით. ასეთი ნარჩენებია: შესაფუთი მასალები, ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებები, ელექტრობატარები, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენები.

რა განსხვავებაა ელექტრო მოწყობილობებსა და ელექტრონულ მოწყობილობებს შორის? ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების კატეგორიებია:

- ელექტრო მოწყობილობები ნარმოადგენენ • მსხვილი და წვრილი საოჯახო ტექნიკა;
- ელექტრო დენის გამტარებს (ჩამრთველი, ძრავა, ელექტრონათურა) და ხელსაწყოებს ელექტრო-ენერგიას აწოდებენ, რომელიც შემდგომ სითბოდ, მექანიკურ ენერგიად ან სინათლედ გარდაიქმნება. • საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სატელეკომუნიკაციო ალტურვილობა;
- ელექტრო მოწყობილობები არ არიან ალტურვილი ე.ნ. „გადაწყვეტილების მიმღები“ საშუალებებით. სამომხმარებლო ტექნიკა;
- ელექტრონული მოწყობილობების (მაცივარი, სარეცხი მანქანა, მიკროტალღური ღუმელი, მტვერსასრუტი) შემთხვევაში შესაძლებელია ბრძანების შენყვეტა ან რეგულირება. ცხადია, რომ მოწყობილობებში ხშირად ორივე კომპონენტია (ელექტრო და ელექტრონული) ნარმოდგენილი.
- განათების ალტურვილობა;
- ელექტრო და ელექტრონული ინსტრუმენტები, მსხვილი სტაციონარული სამრეწველო დანადგარების გამოკლებით;
- საობაშოები, გასართოები და სპორტული ალტურვილობა;
- სამედიცინო ალტურვილობა (იმპლანტირებული და ინფიცირებული პროდუქტების გამოკლებით);
- მონიტორინგისა და კონტროლის ინსტრუმენტები;
- ავტომატური შემასხურებლები.

Common borders. Common solutions.



ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების რეციკლირება სამი ძირითადი ეტაპისაგან შედგება:

1. შერჩევითი დაშლა: ძვირადლირებული და/ან სახიფათო მასალის გამოცალევება;
2. განახლება: მექანიკური ან მეტალურგიული დამუშავების გზით მასალის შემადგენლობის განახლება;
3. რაციონირება: ბოლო ეტაპი, როდესაც ხდება მიღებული მასალის ხელახალი გადამუშავება (განმენდა) ქიმიური ან მეტალურგიული (პირომეტალურგიული ან ჰიდრო-მეტალურგიული) მეთოდით.

Common borders. Common solutions.

ნარჩენების სეპარირებული შეგროვების პროცესის გასამარტივებლად გამოიყენება სხვადასხვა ფერის და/ან წარწერის მქონე პლასტიკის ან ლითონის კონტეინერები. მათი მოცულობა განისაზღვრება ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის შესაბამისად.

ნარჩენების თითოეული

სახეობისთვის გათვალისწინებულია

შემდეგი ფერის კონტეინერები:

- ქალალდი და მუყაო - ლურჯი;
- მინა - მწვანე;
- პლასტიკი და ლითონები - ყვითელი.

PAPER PLASTIC GLASS ORGANIC



ნარჩენები, რომლებიც რეციკლირებას არ ექვემდებარება და არც ერთ ზემოთ ჩამოთვლი სახეობას არ განეკუთვნება, ყავისფერ, ნაცრისფერ ან შავ კონტეინერებში გროვდება.

shutterstock.com · 1303639294

Common borders. Common solutions.



როგორ შევაგროვოთ ქაღალდი?

- შეაგროვეთ შესაფუთად ან საწერად უვარგისი ქაღალდი;
- დაპრესეთ მუყაოს ყუთები ისე, რომ რაც შეიძლება ნაკლები ადგილი დაიკავონ;
- ნარჩენები მიიტანეთ ქაღალდის შესაგროვებლად განკუთვნილ ადგილას.

როგორ შევაგროვოთ პოთლები?

- გაასუფთავეთ მინის საგნები და ტარა;
- ნარჩენები მიიტანეთ ბოთლების შესაგროვებლად განკუთვნილ ადგილას.



Common borders. Common solutions.

როგორ შევაგროვოთ პლასტიკი?

- გაასუფთავეთ პლასტიკის საგნები;
- გაეცანით შეფუთვაზე დატანილ ინფორმაციას;
- დაპრესეთ ისე, რომ ნარჩენებმა რაც შეიძლება ნაკლები ადგილი დაიკავონ;
- ნარჩენები მიიტანეთ PET ნარჩენების შესაგროვებლად განკუთვნილ ადგილას კატეგორიის მიხედვით.



Common borders. Common solutions.

როგორ შევაგროვოთ ლითონის ნარჩენები?

- გაასუფთავეთ ლითონის საგნები და ტარა;
- დაპრესეთ ისე, რომ ნარჩენებმა რაც შეიძლება ნაკლები ადგილი დაიკავონ;;
- ნარჩენები მიიტანეთ ლითონის შესაგროვებლად განკუთვნილ ადგილას.



Common borders. Common solutions.



როგორ შევაგროვოთ ტონერები, პატარები და ელექტრომონეულობები?

ტონერი - შეგიძლიათ შეიძინოთ ტონერი ისეთი კომპანიებისგან, რომლებიც მის რეციკლირებას უზრუნველყოფენ;

პატარები - შეიცავენ ტოქსიკურ ნივთიერებებს - მიიტანეთ პატარების შეგროვების პუნქტებში (მაგ., სუპერმარკეტებში, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების მაღაზიებში, და სხვ.)

ელექტრონული მოწყობილობები - მიიტანეთ სპეციალურ პუნქტებში, სადაც მოხდება მათი დაშლა შემდგომი რეციკლირებისათვის.

Common borders. Common solutions.

4. შავი ზღვის გარემოსდაცვითი საკითხები

დიდი წყალშემკრები აუზისა და მსოფლიო ოკეანესთან შეზღუდული კავშირის გამოშვა ზღვაძალიან მგრძნობიარეა ანთროპოგენური ზემოქმედების მიმართ.


უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში შავი ზღვის დაბინძურებამ და მისი რესურსების ჭარბმა გამოყენებამ წყლის ხარისხისა და ეკოსისტემის მკვეთრი გაუარესება გამოიწვია.

გარემოზე მავნე ზემოქმედებას ძირითადად ორი ფაქტორი განაპირობებს, ეს ენია:

1. შავი ზღვის ზედა ფენის მდგომარეობა;
2. ზღვის დაბინძურება სანაპიროზე მდებარე სამრეწველო ობიექტებით და მდინარეების მიერჩამოტანილი დამბინძურებლებით.

გაუწმენდავი ურბანული ჩამდინარე წყლების ჩაშვება და მუნიციპალური ნარჩენების ზღვაში მოხვედრა შავი ზღვის სანაპირო წყლების მთავარ პრობლემას წარმოადგენს.

Common borders. Common solutions.



ნეარმ: <http://emblasproject.org/>

სანაპირო წყლებისთვის პრობლემას ნარმოადგენს ასევე ზღვის ნაგავი და მუნიციპალური ნარჩენები. მუნიციპალური ნარჩენების უკონტროლუ განთავსება მდინარეების კალაპოტებში ან მიმდებარე სანაპირო ზონებში პლატფორმისა და სანაპირო წყლების დაბინძურებას იწვევს. თავის მხრივ, ის საფრთხეს უქმნის გარემოს, ზღვაში მცხოვრები ორგანიზმების სიცოცხლეს და ადამიანების ჯანმრთელობას.

Common borders. Common solutions.

5. რატომ უნდა დავიცვათ დედამიწის ნების რესურსები?

ჩვენი პლანეტა წყლის პლანეტაა. დედამიწის 3/4 წყლით არის დაფარული. წყალი უნიკალური და შეუცვლელი ბუნებრივი რესურსია, რომელიც მას სხვა ბუნებრივი რესურსებისაგან გამოარჩევს.

წყალი არის მთავარი ფაქტორი, რომელიც ფიზიკურ და ქიმიური გარემოს, გარეთვე კლიმატსა და ამინდს განაპირობებს. თუ არ იქნება წყალი, სიცოცხლეც არ იქნება. ცოცხალი ორგანიზმებისთვის ხელმისაწვდომი სუფთა წყალი პლანეტის წყლის რესურსების ძალიან მცირე ნაწილს (მხოლოდ 0,014%-ს) შეადგენს. ამიტომ, მთელ მსოფლიოში წყლის რაციონალურ გამოყენებას და მის დაცვას დაბინძურებისაგან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ბოლო 200 წლის განმავლობაში წყლის რესურსების ინტენსიურმა და მრავალმხრივმა გამოყენებამ, რომელიც უმეტეს შემთხვევაში უსარგებლო და ირაციონალური იყო, ადამიანები წყლის რესურსების რაციონალური მართვისა და გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარების აუცილებლობის წინაშე დააყენა.

ამჟამად მსოფლიოს ყველა ქვეყანა ცდილობს გამოიყენოს წყლის რესურსები მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით.

Common borders. Common solutions.



bEECO
BSB 1107

LET'S BE ECO IN
THE BLACK SEA BASIN!

Common borders. Common solutions.



CROSS BORDER
COOPERATION



Common borders. Common solutions.



მასალის რედაქტორი:

პრო ნატურა გალათის ასოციაცია

მისამართი: გალათის მუნიციპალიტეტი, 4, დოქტორი წიკოლაჟ ალექსანდრესკუს ქ., რუმინეთი
ტელეფონი: +40748209450

ფოსტა: galatipronatura@gmail.com

Joint Operational Programme Black Sea Basin 2014-2020
Pro Natura Galati Association
March 2022

Joint Operational Programme Black Sea Basin 2014-2020 is co-financed by the European Union through the European Neighbourhood Instrument and by the participating countries: Armenia, Bulgaria, Georgia, Greece, Republic of Moldova, Romania, Turkey and Ukraine.

This publication was produced with the financial assistance of the European Union. Its contents are the sole responsibility of Pro Natura Galati Association and do not necessarily reflect the views of the European Union.

Common borders. Common solutions.